www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი მაჩვენებლები

2017

წელი

31.07.2018

www.geostat.ge

ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი მაჩვენებლები

(2017 წელი)

2017 წლის მონაცემებით, საქართველოში ფუნქციონირებდა 272 საავადმყოფო, 15,1 ათასი საწოლთა ფონდით (2016 წელს 13,8 ათასი). საავადმყოფოში დაყოვნების მაჩვენებელმა შეადგინა 5,2 დღე (2016 წელთან შედარებით არ შეცვლილა), ხოლო დატვირთვამ - 180,5 დღე (2016 წელს - 195,0 დღე).

ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების რაოდენობამ 2369 შეადგინა. აღნიშნულ დაწესებულებებში ექიმთან მიმართვების რიცხვი წლის განმავლობაში 11 493 ათასს გაუტოლდა, რაც 12,1 პროცენტით ნაკლებია 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

2017 წლის მონაცემებით, საქართველოში დასაქმებულია 27,4 ათასი ექიმი (ძირითადი პერსონალი), რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 810 ერთეულით (3 პროცენტით) აღემატება:

ექიმების რიცხოვნობა, ათასი



2017 წელს, 2016 წელთან შედარებით 2,4 პროცენტით გაიზარდა დასაქმებული საშუალო სამედიცინო პერსონალის რიცხოვნობა და 17998 კაცი შეადგინა:

საშუალო სამედიცინო პერსონალის რიცხოვნობა, კაცი



2017 წელს, წინა წელთან შედარებით საქართველოში პირველად დადგენილი დიაგნოზოთ რეგისტრირებული დაავადებების რიცხოვნობა 9,7 პროცენტით შემცირდა. ბოლო ათწლიანი პერიოდის განმავლობაში აღნიშნული მაჩვენებელი მაქსიმალურ ნიშნულს 2015 წელს აღწევდა:

რეგისტრირებული დაავადებების რიცხოვნობა პირველად დადგენილი დიაგნოზით, ათასი



2016 წელთან შედარებით, პირველად დადგენილი დიაგნოზით მოსახლეობის ავადობა შემცირდა დაავადებათა თითქმის ყველა სახის მიხედვით, გარდა რამდენიმე ჯგუფისა, სადაც აღნიშნული მაჩვენებლის ზრდა შეინიშნება. კერძოდ, თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობების რაოდენობა გაიზარდა 34,7 პროცენტით, თანდაყოლილი ანომალიების - 14,7 პროცენტით, ხოლო ძვალ-სახსართა სისტემის და შემაერთებელი ქსოვილების ავადმყოფობები გაზრდილია 4,8 პროცენტით.

ავადობის 20 ძირითადი ჯგუფიდან მოსახლეობაში ყველაზე მეტად გავრცელებულია სუნთქვის ორგანოების (რომელზეც მოდის დაავადებათა 33 პროცენტი), ასევე საჭმლის მომნელებელი სისტემისა (14 პროცენტი) და სისხლის მიმოქცევის სისტემის (10 პროცენტი) ავადმყოფობები, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:

მოსახლეობის ავადობის სტრუქტურა,
პირველად დადგენილი დიაგნოზით, 2017 წელს



საკონტაქტო პირები:

ირმა გვილავა, ტელ: 2 36 72 10 (608), E-mail: igvilava@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge